2-8375/26
22-06-2026

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის

დასკვნა

საქართველოს კანონის პროექტზე „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალ სხვა კანონპროექტზე (№333/2-XIმპ, 03.06.2026)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2026 წლის 22 ივნისის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტები (№333/2-XIმპ, 03.06.2026).

I. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის თანახმად:

- საქართველოს ვიზის გაცემაზე ან საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის, ასევე, საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტისა და საქართველოდან გაძევებისთვის განისაზღვრება დამატებითი სამართლებრივი საფუძველი - შრომითი საქმიანობის უფლების მოპოვების გარეშე შრომითი საქმიანობის განხორციელება;
- საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძველი იქნება სასწავლო ბინადრობის მიზნებთან შეუსაბამო საქმიანობის განხორციელება, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივი არყოფნა 183 დღე ან 183 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში. ასევე, შემთხვევა, როდესაც უცხოელი საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პერიოდში ერთი სასწავლო წლის განმავლობაში ვერ დააგროვებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დასაგროვებელი მაქსიმალური კრედიტების მესამედზე მეტს;

- დადგინდება უცხოელის მიმალვის საფრთხის არსებობის დამატებითი კრიტერიუმები;
- დამკვიდრდება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების ერთიანი სტანდარტი;
- შეიქმნება საქართველოს მოქალაქისა და უცხოელის ფიქციური ქორწინების გამოვლენის სხვა მექანიზმი, რომელიც დაადასტურებს ქორწინების არა მხოლოდ ფორმალურ (რეგისტრაცია) მხარეს, არამედ ქორწინების რეალურობას, ოჯახური კავშირების ნამდვილობას და წყვილის ფაქტობრივ თანაცხოვრებას გარკვეული დროის მონაკვეთში;
- მკაფიოდ განისაზღვრება სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემისა და მისი მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები, რათა დადასტურებული იყოს სასწავლო მიზნის რეალური არსებობა. ასევე, სასწავლო მიზნებისთვის დაემატება D6 კატეგორიის ვიზა;
- ერთგვაროვნად დარეგულირდება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული გადაწყვეტილებების გასაჩივრების ვადები და სხვა პროცესუალური საკითხები. მათ შორის, თავშესაფრის მაძიებლის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებისა და მოთავსების ვადის გაგრძელების თაობაზე სასამართლო განხილვის პროცედურა;

ასევე, უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების საფუძველი შესაძლებელია იყოს, მათ შორის, სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლილი სასჯელის უცხოელის საქართველოდან გაძევებისა და საქართველოში შემოსვლის აკრძალვის, აღსრულების უზრუნველყოფა;

- დადგინდება, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონით დადგენილი წესით, ამავდროულად, აღნიშნული გადაწყვეტილება არ შეაფერხებს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ღონისძიების აღსრულებას.

II. კომიტეტის შეფასება

შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებით დაიხვეწება და გაფართოვდება საქართველოს ვიზის გაცემის, ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის, საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტისა და საქართველოდან გაძევების სამართლებრივი საფუძვლები. ამასთანავე, დაზუსტდება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე

პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების ერთიანი სტანდარტი.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით, დაიხვეწება თავშესაფრის მაძიებლის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებისა და მოთავსების ვადის გაგრძელების თაობაზე სასამართლო განხილვის პროცედურა, რაც უზრუნველყოფს შესაბამის გადაწყვეტილებებზე ეფექტიან სასამართლო კონტროლს. დადგინდება ფიქციური ქორწინების გამოვლენის მექანიზმები და უცხოელის მიმალვის საფრთხის არსებობის დამატებითი კრიტერიუმები. ასევე, სასწავლო მიზნებისთვის D6 კატეგორიის ვიზის შემოღება, შექმნის შესაბამის სამართლებრივ საფუძველს საგანმანათლებლო მიზნით საქართველოში უცხოელთა შემოსვლისა და ყოფნისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი მხარს უჭერს წარმოდგენილ კანონპროექტებს და მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიღებას.

III. დასკვნითი ნაწილი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საქართველოს საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტები (№333/2-XIმპ, 03.06.2026) კომიტეტის სხდომაზე განხილვის შედეგად ცნო საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისთვის მომზადებულად.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
არჩილ გორდულაძე